სსიპ „ქალაქ თბილისის #210 საჯარო სკოლის“ ელექტრონული ტენდერის კომისიის სხდომის

ოქმი #1

სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტის, ხარჯთაღრიცხვისა და ხელშეკრულების პროექტის პირობების დამტკიცების შესახებ

ქ. თბილისი 27 დეკემბერი, 2019 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომის დაწყების დრო:10.00 სთ.

<u>**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:**</u>

რუსუდან კეკელიძე - სკოლის დირექტორი.

<u>**სატენდერო კომისიის წევრები:**</u>

მზია ხუციანიძე–სკოლის დირექტორის მოადგილე

თამარ რჩეულიშვილი–ბუღალტერი

რამაზ მძევაშვილი –სკოლის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი

<u>**სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:**</u>

ნანა კიკნაძე–საინფორმაციო მენეჯერი

დარეჯან წიქარიძე – საქმის მწარმოებელი

<u>**დღის წესრიგი:**</u>

სსიპ „ქალაქ თბილისის #210 საჯარო სკოლის“-ს საჭიროებისთვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების (CPVკოდი-45300000) შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა/დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

<u>**აღწერილობითი ნაწილი:**</u>

მოისმინეს, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონ რუსუდან კეკელიძის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა ჩატარდეს ცენტრალური გათბობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანდართული სატენდერო დოკუმენტაციის და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. აღნიშნული სამუშაოების ჩატარებისთვის

საჭირო თანხა 29982,36 (ოცდაცხრაათასცხრაასოთხმოცდაორი ლარი და 36 თეთრი) ლარი, გამოყო სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტუქტურის განვითარების სააგენტომ“.
ტენდერი გამოცხადდება 29982 (ოცდაცხრაათასცხრაასოთხმოცდაორი) ლარზე. მოგახსენებთ, რომ ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა სამუშაოები უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულოს 30 დღის განმავლობაში.
აღნიშნული სამუშაოების შესყიდვა უნდა განხორციელდეს საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონით“ დადგენილი მონეტარული ზღვრების შესაბამისად, ელექტრონული ტენდერის საშუალებით.
გთხოვთ გაეცნოთ წარმოდგენილ სატენდერო დოკუმენტაციას, ხარჯთაღრიცხვას, დეფექტურ აქტს და ხელშეკრულების პირობების პროექტს.

შესყიდვის სავარაუდო სავარაუდო ღირებულება: 29982 (ოცდაცხრაათასცხრაასოთხმოცდაორი)ლარი;

მიწოდების სავარაუდო ვადები: სამუშაოები უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულოს 30 დღის განმავლობაში.

<u>დაადგინეს:</u>

1. დამტკიცდეს გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია თანდართული სახით.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, სატენდერო დოკუმენტაციის ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნება, არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრისა.

სხდომის დასრულების დრო:11.00 სთ.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს:
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

<u>სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:</u>

რუსუდან კეკელიძე

<u>სატენდერო კომისიის წევრები:</u>

მზია ხუციანიძე

თამარ რჩეულიშვილი

რამაზ მძევაშვილი

<u>სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:</u>

ნანა კიკნაძე

დარეჯან წიქარიძე